

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯორჯია ინვესტ გრუპი“,
ს.ნ 404537578

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება-----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	6-16


შპს "ჯორჯია ინვესტ გრუპი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)


	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
ფული დაფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	3089.76	169053
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	457178.24	138279
გადახდილი ავანსები		395.61	0
მარაგები	6	12063.4	7674
ძირითადი საშუალებები	7	2092447.27	3849495
სულაქტივები		2565174.28	4164501
ვალდებულებები			
სავაჭროდასხვამოკლევადიანი ვალდებულებები	9	137654.44	1658796,32
სულ ვალდებულებები		137654.44	1658796,32
საწესდებო კაპიტალი		1101729.61	1366303,61
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1325790.23	113940,96
სულ კაპიტალი		2427519.84	2505705,57
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2565174.28	4164501

დირექტორი:



რ.კალაძე

მთავარი ბუღალტერი:



ნ.აფციაური

შპს "ჯორჯია ინვესტ გრუპი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
აქტივები			
ფული დაფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	3089.76	169053
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4	457178.24	138279
გადახდილი ავანსები		395.61	0
მარაგები	6	12063.4	7674
ძირითადი საშუალებები	7	2092447.27	3849495
სულაქტივები		2565174.28	4164501
ვალდებულებები			
სავაჭროდასახვამოკლევადიანი ვალდებულებები	9	137654.44	1658796,32
სულ ვალდებულებები		137654.44	1658796,32
საწესდებო კაპიტალი		1101729.61	1366303,61
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1325790.23	1139401,96
სულ კაპიტალი		2427519.84	2505705,57
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2565174.28	4164501

დირექტორი:

რ.კალაძე

მთავარი ბუღალტერი:

ნ.აფციაური

შპს "ჯორჯია ინვესტ გრუპი"

მოგება - ზარალის და სხვას რული შემოსავლი სანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	10	2159748,35	1765243,96
თვითღირებულება	11	(1656954,97)	(574247,76)
საერთომოგება		502793,38	1190996,2
სხვა შემოსავლები		102664,92	169887,93
ზოგადიდაადმინისტრაციულიხარჯი	12	(274377,8)	(253632,47)
საოპერაციომოგება		331080,5	1107251,66
ფინანსური შემოსავალი	13	(124819,28)	(193301,67)
წმინდასავალუტოზარალი/მოგება		206261	913949,99
მოგებადაბეგვრამდე	-	206261	913949,99
მოგების გადასახადი			
წმინდამოგება	-	206261	913949,99
მთლიანი სრული შემოსავალი	-	206261	913949,99

დირექტორი:

რევაზ კალაძე

მთავარი ბუღალტერი:

ნინო აფციაური

შპს "ჯორჯია ინვესტ გრუპი"

მოგება - ზარალის და სხვას რული შემოსავლი სანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები	<u>10</u>	2159748,35	1765243,96
თვითღირებულება	<u>11</u>	(1656954,97)	(574247,76)
საერთომოგება		502793,38	1190996,2
სხვა შემოსავლები		102664,92	169887,93
ზოგადიდადმინისტრაციულიხარჯი	<u>12</u>	(274377,8)	(253632,47)
საოპერაციომოგება		331080,5	1107251,66
ფინანსური შემოსავალი	<u>13</u>	(124819,28)	(193301,67)
წმინდასავალუტოზარალი/მოგება		206261	913949,99
მოგებადაბეგვრამდე	-	206261	913949,99
მოგების გადასახადი			
წმინდამოგება	-	206261	913949,99
მთლიანი სრული შემოსავალი	-	206261	913949,99

დირექტორი:



რევაზ კალაძე

მთავარი ბუღალტერი:



ნინო აფციაური

შპს „ჯორჯიან ინვესტ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებოკაპიტა ლი	გაუნაწილებელიმოგ ება	მთლიანიკაპიტა ლი
2021 წლის 31 დეკემბერი	404617,57		404617,57
წმინდა მოგება	-		
სხვა სრული შემოსავალი	-	913949,99	913949,99
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	193770,21	(186547,54)-	
2022 წლის 31 დეკემბერი	598387,78	727402,45	1325790,23

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯია ინვესტ გრუპი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 15 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 406155404. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, აკაკი შანიძის ქ., N16, ბინა N5.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არა საცხოვრებელი შენობების მშენებლობა. აგრეთვე კომერციული ფართების გაქირავება.

რევაზ კალაძე, 01023012021 25%. როკ სადერი, 01391017057 /ლიბანი/ 25%, შარბელ მანსური, RL 3717835, 01791031358 /ლიბანი/ 25%, ვასიმ ელ კაბზანი, RL 3590353, 01591032682 /ლიბანი/ 25 დადირექტორია რევაზ კალაძე, 01023012021 და როკ სადერი, 01391017057 /ლიბანი/. კომპანიის საწესდებოკაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 242519 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 3 (სამი)- ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვრს, კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას 2021 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას 2021 წლის, ასევე შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი				დოლარი	ევრო
კურსი	2022	წლის	31	2,7020	2,8844
დეკემბრისთვის					
კურსი	2021	წლის	31	3,0976	3,504
დეკემბრისთვის					

ძირითადი სააღრიცხვ ოპოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არარის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტოსარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

ძირითად საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებითა და ჩაირთვება სხვაშემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი

ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავეჯი	10 წელი
არამატერიალური აქტივი	10 წელი

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (10წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსოსხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვაშემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან.

კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, დაასვე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხისკ ორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაშია აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდები ადარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიანკომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსურიანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები დაპირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმშემთხვევაში, თუკომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმპერიოდის ფინანსურანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე

დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაშია პირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმში არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსური ნფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სასამართლო დავა.

შენიშვნა 3 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულისალაროში		68514,41
ფულისაბანკოანგარიშებზე	3089,76	100538,37
სულ ჯამი	3089,76	169052,78

შენიშვნა 4 -სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭროდებიტორულიდავალიანებები	457178,24	138279,29
სხვა მოკ.ვადი.მოთხოვნები		
სულ ჯამი	457178,24	138279,29

შენიშვნა 6 - სხვა აქტივები

ლარში	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მარაგები	12062,4	7674,4
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
სულ ჯამი	12062,4	7674,4

შენიშვნა 7

ძირითადი საშუალებები

ლარში	მიწის ნაკვეთები	მანქანა- დანადგარები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით	1053674	16949,15	2485950	133383,26	363693,4	137523,1
შესყიდვა				18098,85		
გასვლა	839540		705169	23342,81	873579	
გადაფასების რეზერვი						
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	214134	16949,15	1780781	128157,3	276335,5	137523,1 2553880
დაგროვილი ცვეთა						
2021 წლის ბოლოს მდგომარეობით		4842,62	99939,23	49355,62	144557,96	42982,1
ცვეთის ხარჯი		2421,31	36819,46	19673,91	44237,3	16602,77
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	-	-	7263,93	136758,69	69029,53	188795,26 59584,87
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის ბოლოს	1053674	12106,53	2386010,7	84027,64	219135,44	94541
2022 წლის ბოლოს	214134	9685,22	1644022,3	59127,77	87540,24	77938,23

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	2022 წლ ის 1 იანვარი	2021 წლ ის 31 დეკემბერი
სავაჭროვალდებულებები	22296,82	27327,07
მოკლ.ვად.სესხი	115357,62	1631469,25
სულ ჯამი	137654,44	1658796,32

შენიშვნა 10 - ამონაგები

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
------	---------------------------	---------------------------

საქონლის რეალიზაცია	2159748,35	1765243,96
სულ ჯამი	2159748,35	1765243,96

შენიშვნა [11](#) - თვითღირებულება

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქონლის თვითღირებულება	(1656954,97)	(574247,76)
სულ ჯამი	(1656954,97)	(574247,76)

შენიშვნა [12](#) - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
შრომისანაზღაურება	(32903,12)	(47108,49)
კომუნალური	(58363,86)	(42872,92)
ცვეთის ხარჯი	(119754,75)	(146846,84)
სხვაადმინისტრაციული ხარჯი	(63356,07)	(16804,28)
სულ ჯამი	(274377,8)	(253632,47)

შენიშვნა [13](#)

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
არასაოპერაციო ხარჯი	12491,35	11358,27
ბანკის პროცენტი	124818,94	177834,42
სულ	137310,28	193301,67

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდომ მოვლენებს ადგილი აქვს რონია.
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2024 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი: რ.კალაძე

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;
საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდომ მოვლენებს ადგილი აქვს რონია.
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2024 წლის 18 სექტემბერს.

დირექტორი: რ.კალაძე

